ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N 42

29 ივლისი, 2011 წელი ქალაქი ქუთაისი

ერთის მხრივ, "მიმწოდებელი" შ.პ.ს. "უსაფრთხო ქალაქი", მისი დირექტორი გიორგი ვაშაყმაძე (მის: ქ. ქუთაისი, წერეთლის ქ. II ჩიხი №2ა, ტელ: 593 18 62 06), მეორეს მხრივ, "შემსყიდველი" შპს " ქუთაისის რეგიონალური სისხლის ბანკის" დირექტორი ნანა ლობჟანიძე (მის: ქუთაისი, ვარლამიშვილის ქ. №5. ტელ: 599 50-18-33) დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1. "ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომ "ხელშეკრულება") - შემსყიდველ ორგანიზაციასა და "მიმწოდებელს" შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2. "ხელშეკრულების ღირებულება" ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს "შემსყიდველმა" ორგანიზაციამ "მიმწოდებლის" მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3. "შემსყიდველი ორგანიზაცია" (შემდგომ "შემსყიდველი") ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.4. "მიმწოდებელი" ნიშნავს პირს, რომელმაც დადო ხელშეკრულება აღნიშნულ ორგანიზაციასთან და ახორციელებს სამუშაოს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში.

1.5. "დღე", "კვირა", "თვე" ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

1.6. "სამუშაო" - ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების ობიექტი და კლასიფიკატორის კოდი

2.1. სხვენის ქიმიური და ცეცხლსაწინააღმდეგო ხსნარით დამუშავება.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს: 934 (ცხრაასოცდათოთხმეტი) ლარს.

3.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეიცავს "შემსყიდველის" მიერ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს.

4. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

4.1. "შემსყიდველი" უფლებამოსილია სამუშაოების შესრულების პარალელურად მოახდინოს სამუშაოების შემოწმება, რომლის მიზანია მისი შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.

4.2. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ "შემსყიდველი" დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს "მიმწოდებელს" დაწუნებული სამუშაოების ნაწილს წუნდების მიზეზების მითითებით.

4.3. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოსაფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება "მიმწოდებელს", საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

5. სამუშაოს შესრულების პირობები

5.1. სამუშაოს შესრულება განხორციელდება ხელშეკრულების დადებიდან 10 (ათი) კალენდარული დღეში.

5.2. ხელშეკრულების დამდებ არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება შეიტანოს ცვლილება მეორე მხარესთან შეთანხმების გარეშე.

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1. "შემსყიდველი" შესყიდვის ობიექტის მიღებას მოახდენს ეტაპობრივად.

7. ანგარიშსწორება

7.1. ანგარიშსწორება ხორციელდება "მიმწოდებლის" წერილობითი მომართვის საფუძველზე.

7.2. "მიმწოდებლის" წერილობით მომართვას ანგარიშსწორების თაობაზე უნდა დაერთოს:

ა) ფაქტიურად შესრულებული სამუშაოს მოცულობა და ღირებულება;

ბ) შესრულებული სამუშაოს შესაბამისად ამოწერილი დ.ღ.გ.-ს ანგარიშ-ფაქტურა.

7.3. ანგარიშსწორების ფორმა იქნება უნაღდო.

7.4. წინასწარ თანხის 50% შენატანისა და სამუშაოს შესრულების აქტის დამტკიცებიდან არა უგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

8. გარანტია

8.1. "მიმწოდებელი" იძლევა გარანტიას, რომ სამუშაოს შეასრულებს თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად დადგენილი ნორმების დაცვით.

8.2. შესრულებული სამუშაოს სრულფასოვანი ფუნქციონირების საგარანტიო ვადად განისაზღვრება 2 (ორი) წელი, რომლის განმავლობაშიც "მიმწოდებელი" ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს ხელახალი დამუშავება. აღნიშნული არ გულისხმობს საანგარიშო პერიოდში დაზიანების აღდგენას, თუ დაზიანება გამოწვეული იქნება დაუძლეველი ძალის ზეგავლენით.

9. ფასები

9.1. "შემსყიდველის" მიერ ხელშეკრულებაში მითითებული ფასი არ უნდა აღემატებოდეს "მიმწოდებლის" მიერ ელექტრონული ვაჭრობის შედეგად დაფიქსირებულ საბოლოო ფასს;

9.2. ხელშეკრულების ღირებულების პარამეტრის შეცვლა ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში დაუშვებელია, თუკი ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან "შემსყიდველისათვის" უარესდება ხელშეკრულების პირობები. გარდა იმ შემთხვევისა, თუკი ხელშეკრულების შესრულების პროცესში დადგინდა, რომ მასში გათვალისწინებული პირობები არ აკმაყოფილებს თანამედროვე პროგრესულ მოთხოვნებს და ორივე მხარემ გამოთქვა თანხმობა და სურვილი შეიტანონ სათანადო შესწორება ხელშეკრულების პირობებში.

9.3. ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან "შემსყიდველისათვის" პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

10. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა

10.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება, ორივე მხარის მიერ ხელმოწერელი წერილობითი შესწორების გარდა.

10.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

10.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

11. უფლებების გადაცემა

11.1. "მიმწოდებელს" არა აქვს უფლება "შემსყიდველის" წერილობითი თანხმობის გარეშე მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობები.

12. სუბკონტრაქტორები

12.1. "მიმწოდებელმა" წერილობით უნდა აცნობოს "შემსყიდველს" მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში დადებული ყველა სუბკონტრაქტის შესახებ, თუ ეს უკვე არ არის მითითებული სატენდერო წინადადებაში.

12.2. ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული ყველა სუბკონტრაქტის ასლი უნდა წარედგინოს შემსყიდველს.

12.3. ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული არცერთი სუბკონტრაქტი არ ათავისუფლებს "მიმწოდებელს" ხელშეკრულებით გათვალისწინებული მატერიალური ან სხვა ვალდებულებებისგან.

13. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

13.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

13.2. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულბის ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლლების შეტანის გზით.

14. მხარეთა უფლება-მოვალეობები

14.1. "შემსყიდველი" უფლებამოსილია:

- სამუშაოს დასრულებამდე ნებისმიერ დროს მოითხოვოს "მიმწოდებლისგან" მისთვის საჭირო ინფორმაცია.

14.2. "შემსყიდველი" ვალდებულია:

- უზრუნველყოს "მიმწოდებლის" მიერ შესრულებული სამუშაოს ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

14.3. "მიმწოდებელი" უფლებამოსილია:

- მოსთხოვოს "შემსყიდველს" შესრულებული სამუშაოს ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

14.4. "მიმწოდებელი" ვალდებულია:

- დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

15. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

15.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დაგვიანებით შესრულებისათვის ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე "მიმწოდებელი" გადაიხდის შეუსრულებული სამუშაოს ჯამური ღირებულების 0.1%-ს.

15.2. საჯარიმო სანქციის გადახდა არ ათავისუფლებს "მიმწოდებელს" ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

16. ხელშეკრულების შეწყვეტა

16.1. ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ.

16.2. ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას, ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი. აღნიშნული შეტყობინება უნდა მიეწოდოს მეორე მახრეს დაუყოვნებლივ.

16.3. ხელშეკრულების შეწყვეტა პირობების დარღვევის გამო არ ათავისუფლებს "მიმწოდებელს" ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან.

17. დაუძლეველი ძალა

17.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

17.2. თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა, აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

17.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დაუსრულებისთანავე.

18. სადაო საკითხების გადაწყვეტა

18.1. "შემსყიდველმა" და "მიმწოდებელმა" ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

18.2. თუ "შემსყიდველი" და "მიმწოდებელი" ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

19. გამოყენებული სამართალი

19.1. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

20. ხელშეკრულების ენა

20.1. ხელშეკრულება დაწერილ უნდა იქნეს ქართულ ენაზე. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების მეორე მხარე არის უცხო ქვეყნის წარმომადგენელი, მაშინ მეორე ეგზემპლარი ითარგმნება "მიმწოდებლისათვის" მისაღებ ენაზე. ინტერპრეტაციისას ქართულ ენაზე დაწერილი ხელშეკრულება წარმოადგენს გადამწყვეტს. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული მთელი წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის, უნდა შეესაბამებოდეს აღნიშნულ პირობებს.

21. შეტყობინება

21.1. ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, დეპეშის, ტელექსის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.

21.2. შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დროს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

22. გადასახადები და დაბეგვრა

22.1. "მიმწოდებელი" პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე.

23. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

23.1. წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების დადებიდან 2013 წლის 13 ივლისის ჩათვლით.

23.2. ხელშეკრულება შედგენილია სამ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან - 1 (ერთი) პირი "მიმწოდებელთან" და 2 (ორი) პირი "შემსყიდველთან".

24. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები:

"მიმწოდებელი":

შ.პ.ს. "უსაფრთხო ქალაქი"
მის: ქ. ქუთაისი, წერეთლის ქ. II ჩიხი №2ა
ს.ს. "პროკრედიტ ბანკის" ქუთაისის ფილიალი
ა.ნ. GE56PC0013600100042469
ს.კ. 412678491
ბ.კ. MIBGGE22
შ.პ.ს. "უსაფრთხო ქალაქი"-ს
დირექტორი:

გ. ვაშაყმაძე

"შემსყიდველი"

შპს "ქუთაისის რეგიონალური სისხლის ბანკი"
მის: ქ. ქუთაისი, ვარლამიშვილის ქ. №5
ს.ს. "თიბისი ბანკის" ქუთაისის ფილიალი
ა/ა GE39TB0358836080100003
ს/კ 212677566

შპს "ქუთაისის რეგინალური სისხლის ბანკის" დირექტორი:

ნ. ლობჟანიძე